

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ - პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება ბრძანება №:125/01-01 საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის პროგრამაზე, ბიოლოგიის დეპარტამენტის კათედრებზე - ბიომრავალფეროვნება, ბიოქიმია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება №:124/01-01 საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №59/2020 დადგენილების პუნქტი 7.-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

### შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

„17“ აგვისტო, 2020 წ.

15:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5 წევრი: 1. პროფ. დიანა ძიძიგური (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. არნოლდ გეგეჭკორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. მანანა გორდუზიანი (კომისიის მდივანი) 4. პროფ. ნანა კოტრიკაძე; 5. პროფ. ნანა კოშორიძე,

#### დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე

კათედრა - ბიომრავალფეროვნება - ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე

კათედრა - ბიოქიმია - - ასისტენტ პროფესორის 2 ვაკანსიაზე

კათედრა - მორფოლოგია - ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე

პროგრამა - გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია - - ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე

გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

#### მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯამების შესახებ.

## კონკურსანტი მარინე ბოკერია

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი მარინე ბოკერიას განათლება (1978 - 1983 თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალიზაცია „ბოტანიკა“, კვალიფიკაცია ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი);

აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბ.დ.);

სამსახურებრივი გამოცდილება (1983-2000წლებში სხვადასხვა დროს იყო ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა სისტემატიკის და გეოგრაფიის განყოფილების პრეპარატორი, ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, მეცნიერ თანამშრომელი; 2000-2006წწ - ა.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ბოტანიკის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი; 2006-დან დღემდე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბუნების მრავალფეროვნებისა და ისტორიის დეპარტამენტი, ბოტანიკური (ჰერბარიუმის) კოლექციების ფონდის კურატორი; 2005 - 2011 წ.წ.თბილისის ფარმაცევტული უნივერსიტეტი :”ინტერფარმი+“- მოწვეული პედაგოგი) და პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და აკმაყოფილებს ასისტენტ პროფესორის თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან -აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2019-20 წლებში კითხულობდა თსუ ზსმფ-ის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის სასწავლო კურსებს, 2005-11 წწ - თბილისის ფარმაცევტული უნივერსიტეტი :”ინტერფარმი+“ ლექციები სამედიცინო ბიოლოგიაში, ბაკალავრიატი. მოდული ფარმაცია), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (7), კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები ( 2008 -“Identification of archaeobotanical plant remains. Introduction to the Archaeobotanical database Wiesbaden (Germany) მცენარეული ნაშთების იდენტიფიკაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა. ქ. ვისბადენი (გერმანია); 2006 - Identification of archaeobotanical plant remains 12107-01 Practical course IPNA. Basel , Switzerland. (განამარხებულ მცენარეული ნაშთების იდენტიფიკაცია, ქ . ბაზელი (შვეიცარია);1985 -1986, 1988 - რუსეთის მეცნ. აკადემიის კომაროვის სახ.ბოტანიკის ინსტიტუტი. კავკასიის განყოფილება (ჰერბარიუმი); ბიოსისტემატიკის და მცენარეთა ციტოლოგიის ლაბორატორია. სანქტ-პეტერბურგი - რუსეთის ფედერაცია) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია, შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას „მაღალი“.

III კატეგორია- სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა -კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს 32 პუბლიკაცია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში,ბოლო 6 წლის მანძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 5 საგრანტო პროექტის მუშაობაში. მ. ბოკერიას ციტირების ინდექსია 28, იგი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (შვეიცარია, გერმანია). კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი გამოქვეყნებული ნაშრომი,სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).კონკურსანტი ფლობსუცხო ენებს (რუსული - თავისუფლად. ინგლისური - კარგად) და კომპიუტერთან მუშაობის უნარებს, აქვს საოფისე პაკეტის MS Office-ის პროგრამებით (Word, Excel, PowerPoint) თეორიულიცოდნა და პრაქტიკულიგამოცდილება. მარინე ბოკერიას საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

## კონკურსანტი ქეთევან მენაბდე

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი ქეთევან მენაბდისგანათლება (1975-1980 თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტი - ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი; სპეციალიზაცია - ბიოქიმია); აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი -1998 - ბიოლოგიის (030004-ბიოქიმია) მეცნიერებათა კანდიდატი, ბიოლოგიის დოქტორი); სამსახურებრივი გამოცდილება (1980-86 წწ-საქ. მეცნ. აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, ფარმაკოლოგიის განყოფილება, უფროსი ლაბორანტი; 1986-2006 წწ - თსუ, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრა, ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერი-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 2006-16წწ თსუ, ზსმფ, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიოქიმიის მიმართულება, სამეცნიერო ერთეულის - „სტრესის მოლექულური მექანიზმის შემსწავლელი ინსტიტუტის“ მეცნიერ თანამშრომელი; 2016-დან დღემდე თსუ, ზსმფ, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიოქიმიის კათედრა, ასისტენტ პროფესორი). და პედაგოგიური სტაჟი ნწელზე მეტი (კონკურსანტის მიერ მოწოდებული ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო კურსი თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით არის გათვალისწინებული)შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან** -აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (1. ფუნქციური ბიოქიმია II გამოცემა, 2013 წ., თსუ გამომცემლობა. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/funqciuri%20bioqimia%20II%20gam%20asatvirt.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/funqciuri%20bioqimia%20II%20gam%20asatvirt.pdf); 2. ფუნქციური ბიოქიმია I გამოცემა, 2009 წ., გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“; 3.პრაქტიკული ბიოქიმია, 2009 წ. თსუ გამომცემლობა), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (11) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“**.

**III კატეგორია- სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა** -კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 5 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მაძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 5 საერთაშორისო და 1 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 1 საგრანტო პროექტის მუშაობაში. ქ. მენაბდის ციტირების ინდექსია 96, მისი სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)**. აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.აღსანიშნავია, რომ კონკურსანტი არის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, ნ. კომორიძის ავტორობით გამოცემული წიგნის - „ბიოქიმია“ - რედაქტორი, ფლობს კომპიუტერთან მუშაობის უნარებს (Ms Office პროგრამები, სამეცნიერო ბაზებსა და პორტალებში მუშაობა, Windows, Zoom), რუსულ და ინგლისურ ენებს.

ქეთევან მენაბდის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

## კონკურსანტი გიორგი ბურჯანაძე

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი გიორგი ბურჯანაძისგანათლება (2005-2009 თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიის სპეციალობით. 2009-2011 ბიოლოგიის მაგისტრი ბიოქიმიის სპეციალობით, 2012-2015 ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი).

**აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** (ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი);

**სამსახურებრივი გამოცდილება** (2016-დან დღემდე - თსუ ზსმფ, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიოქიმიის კათედრა, ასისტენტ პროფესორი; 2011-2016 - თსუ ზსმფ, ბიოლოგიის დეპარტამენტი და მედიცინის ფაკულტეტი, მოწვეული პედაგოგი; 2013-2016 ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიოქიმიის კათედრა, ლაბორანტი; 2016-2017 ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მოწვეული პედაგოგი; 2015-2020 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მოწვეული პედაგოგი) **და პედაგოგიური სტაჟი ნწელზე მეტი** შესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან** - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2011 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა ლაბორანტის, მოწვეული პედაგოგის, ასისტენტ პროფესორის თანამდებობები), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (13) , **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (2020 Flexible Course Design Summer Institute**“, სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის ტექნოლოგიების სერვისების დეპარტამენტი; **2020 “Online teaching and learning challenges in medical education**”, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ და კლინიკური მედიცინის საგანმანათლებლო ცენტრი, ტაიპეის მუნიციპალური ჰოსპიტალი; 2019-“2<sup>nd</sup> International School of Applied Biosciences and Biotechnology”); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; თბილისი, საქართველო; 2019 - “SDSU-Georgia” Faculty Development Program, San Diego State University, San Diego, CA, USA; 2019 - “FEBS Workshop on Molecular Life Sciences Education”, FEBS Educational Committee and Ilia State University, Tbilisi, Georgia; 2013 -“Workshop on Molecular Life Sciences Education”, ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოებათა ფედერაცია (FEBS) და საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოება, თბილისი, საქართველო; 2013 - English for Scientific Purposes (ESP)”, CRDF გლობალი და GRDF, ბაკურიანი, საქართველო; 2011 - “C7-RER-5.013-007 Regional Training Course on Standardization of Techniques for Quality Evaluation of Solanaceous Food Crops”, უნგრეთის ატომური ენერჯების სააგენტო, ბუდაპეშტი, უნგრეთი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. შესაბამისად **კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას „მაღალი“**.

**III კატეგორია- სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა** -კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 4 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 3 საგრანტო პროექტის მუშაობაში. გ. ბურჯანაძის ციტირების ინდექსია 58, მისი სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)**. აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები. აღსანიშნავია, რომ გ. ბურჯანაძე არის 2 სტუდენტური სამეცნიერო პროექტის კონსულტანტი, 3 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, მიღებული აქვს სტანისლავ ტოლპას სახელობის სტიპენდია პოლონეთში ერთ თვიანი სტაჟირებისათვის ვროცლავის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტში, მიღებული აქვს პრემია ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმზე წარმოდგენილი მოხსენებისათვის „პიპოკამპში კრეატიუნიზმს აქტივობის ცვლილება ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევის

პირობებში“, მონაწილეობდა „თსუ-დესპანი 2014“-ში მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით, ფლობს კომპიუტერთან მუშაობის უნარებს (Ms Office პროგრამები, სამეცნიერო ბაზებსა და პორტალებში მუშაობა, Windows; Zoom, Cisco Webex, Canvas -სწავლების ელექტრონული ბაზები), რუსულ და ინგლისურ ენებს. გიორგი ბურჯანაძის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

### **კონკურსანტი ირინა მოდებაძე**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი ირინა მოდებაძის **განათლება** (1992-1998 ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის და მედიცინის ფაკულტეტი, სპეციალობა - ბიოლოგია (უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია); კვალიფიკაცია - ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი;

**აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; სპეციალობა - ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია (03.00.11). ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი);

**სამსახურებრივი გამოცდილება** (1998-2004 - თსუ, ბიოლოგიის და მედიცინის ფაკულტეტი, განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორია - ლაბორანტი; 2004-2005 - თსუ, ბიოლოგიის და მედიცინის ფაკულტეტი, განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორია - უმც. მეცნ. თანამშრომელი; 2004-2006 - თსუ, ბიოლოგიის და მედიცინის ფაკულტეტი, ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის და განვითარების ბიოლოგიის კათედრა - უფროსი მასწავლებელი; 2006-2009 - თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, მორფოლოგიის მიმართულება - მოწვეული ლექტორი; 2009-2014 - თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, მორფოლოგიის მიმართულება - ასისტენტ პროფესორი; 2009-დღემდე თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, საფაკულტეტო მნიშვნელობის სტრუქტურული ერთეულის „ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების ინსტიტუტის“ - მეცნიერ თანამშრომელი; 2014-დღემდე თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, მორფოლოგიის კათედრა - ასოცირებული პროფესორი)

**და პედაგოგიური სტაჟი წწელზე მეტი** - (კონკურსანტის მიერ მოწოდებული ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო კურსი თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით არის გათვალისწინებული) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან** - აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (1998 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა ლაბორანტის, უმცრ. მეც თანამშრომლის, უფროსი მასწავლებლის, მოწვეული ლექტორის, ასისტენტ პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობები), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (14) , **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა** (1. უჯრედის და განვითარების ბიოლოგიის კვლევის მეთოდები 2015, [www.e-learning.tsu.ge](http://www.e-learning.tsu.ge); 2. პრაქტიკუმი ციტოლოგიაში 2013, [www.e-learning.tsu.ge](http://www.e-learning.tsu.ge); 3. ადამიანის ანატომია 2020, [www.e-learning.tsu.ge](http://www.e-learning.tsu.ge)), **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები** (2019 - სწავლა, სწავლება და შეფასება) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. შესაბამისად, **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

**III კატეგორია - სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა** - კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 7 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მადილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 6 საერთაშორისო და 6 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, ი. მოდებაძის ციტირების ინდექსია 14, მისი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის

სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ ი. მოდებამე არის სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციოკომიტეტებისწევრი (1. ბიოლოგიისა და მედიცინის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა და მოსწავლეთა სიმპოზიუმი: „ბიოთერაპია და ფიტოთერაპია“ 2015წ. X სიმპოზიუმი 2016წ. „საქართველოში გავრცელებული მავნებლები და მასთან ბრძოლის მეთოდები და პრობლემები“ 2018წ. 2. თსუ, ზისტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია 2016-2020.), 4 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტებს, არის საქართველოს ბიოლოგიის ნაკრები გუნდის ლიდერი/თანალიდერი, ფლობს კომპიუტერთან მუშაობის უნარებს (Microsoft Excel, Microsoft Word, Microsoft PowerPoint, Photoshop, CorelDRAW), რუსულ და ინგლისურ ენებს. ირინა მოდებამის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“**.

#### **კონკურსანტი ნინო არჩვაძე**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი ნინო არჩვაძის განათლება (1985-1991) თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი; სპეციალობა - ადამიანის ადაცხოველთა ფიზიოლოგია. წარჩინების დიპლომი. კვალიფიკაცია - ბიოლოგი, ბიოლოგიის ადაქიმის მასწავლებელი. **1991-1993წწ** თსუ, ბიოლოგიის ფაკულტეტი, ასპირანტი განხორციელდა ადამიანის ადაცხოველთა ფიზიოლოგია

**აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი);

**სამსახურებრივი გამოცდილება** (2016-დან დღემდე - თსუ ზსმფ, ბიოლოგიის დეპარტამენტი, მიმართულება: გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია - ასისტენტ პროფესორი; 2014-2016 - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი; 2011 წლიდან ქ. თბილისის კლასიკური გიმნაზია. წამყვანი მასწავლებელი (ბუნება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ბიოლოგია); 2010 წლიდან თსუ ზსმფ, ევროკავშირის TEMPUS პროგრამის გრანტის - “სამაგისტრო პროგრამა გამოყენებითი ბიომეცნიერებებში - MAPB” ფარგლებში - სასწავლო პროცესის კოორდინატორი, კოორდინატორი მარკეტინგის დარგში; 2007-2010 თსუ ზსმფ, ევროკავშირის TEMPUS პროგრამის გრანტი TEMPUS CD\_JEP-27218-2006 (GE) “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი კურიკულუმის დანერგვა გამოყენებითი ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულებით”. კოორდინატორი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო მასალით უზრუნველყოფის დარგში, მოდულების ლიდერი; 1996-2016წწ თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი, მოწვეული ლექტორი, 2007-წლიდან ბიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი ლაბორანტი) და **პედაგოგიური სტაჟი ნწელზე მეტი** (კონკურსანტის მიერ მოწოდებული ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო კურსი თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებით არის გათვალისწინებული) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან** - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (1996 წლიდან დღემდე თსუ-ში სხვადასხვა დროს ეკავა დოცენტის, მოწვეული ლექტორის, ასისტენტ პროფესორის თანამდებობები) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა - (Laboratory Practice Manual (Eng.), 2020 - 4.6

თავის -**The Ethic at Laboratory** - თანაავტორი. მომზადდა Erasmus + პროგრამის პროექტის "Improving skills in laboratory practice for agro-food specialists in eastern Europe" (Ag-Lab), projectKA2 n° 586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP (2017-2978/001-001) ფარგლებში. <http://ag-lab.org/sites/default/files/manuals/Structure%20of%20the%20manual%20and%20WG.pdf>;

**ლიცენზირებული თარგმანი**-William J. Thieman, Michael A. Palladino. Introduction to Biotechnology. 2<sup>nd</sup> edition Benjamin Cummings. 2008/უილიამ ჯ. თიმენი, მაილკ ა. პალადინო. ბიოტექნოლოგიის შესავალი. თსუ გამომცემლობა. 2015. მთარგმელთა ჯგუფის წევრი; **ნ. არჩვაძე**, ე. ჩერქეზია. **კვლევის დაგეგმვა და მეთოდოლოგია. სახელმძღვანელო**. გამოიცა ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის MAPB პროექტის ფარგლებში. „კრეატივ ბუტიკი“. თბილისი. 2013;

**ბიომეცნიერების საბაკალავრო პროგრამების დარგობრივის ტანდარტული დებულებები.**

თანაავტორი (TEMPUS, DABB). თბილისი, 2012; PASCO Scientific-ის გზამკვლევი „**Biology through Inquiry (Teacher Guide - Biology PS-2870A)**“. თარგმანი ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის SALiS პროექტის ფარგლებში. 2012), მის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები (16) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების ნუსხაში შედის. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

**III კატეგორია- სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა** -კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 3 სამეცნიერო პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მაძილზე იგი მოხსენებებით წარსდგა 1 საერთაშორისო და 6 ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე, მონაწილეობა მიიღო 8 საგრანტო პროექტის მუშაობაში. **ნ. არჩვაძის** ციტირების ინდექსია 3, იგი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. მისი სამოტივაციო წერილის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

**IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები.

აღსანიშნავია, რომ იგი არის საბაკალავრო პროგრამის - „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ თანახელმძღვანელი, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგიის მე-2 საერთაშორისო სკოლა -კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტისა და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრი, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი თსუ-ის მხრიდან, ფაკულტეტის საგანმანათლებლო კომიტეტების წევრი, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მოსწავლეთა IX სამეცნიერო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მიღებული აქვს საქართველოში ევროკავშირის ელჩის დიპლომი თსუ-ში ევროკავშირის ტემპუსის პროექტის - „სამაგისტრო პროგრამა გამოყენებითი ბიომეცნიერებებში ქართულ და სომხურ უნივერსიტეტებში“ ფარგლებში თსუ-ში გამოყენებითი ბიომეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის შემუშავებასა და დანერგვაში შეტანილი წვლილისათვის.

ნინო არჩვაძის საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

**შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება** - კონკურსანტებმა უპასუხეს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტების სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის,

სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტების პიროვნული თვისებები.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგები ასეთია:

მარინე ბოკერია -5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.  
ქეთევან მენაბდე - 5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.  
გიორგი ბურჯანაძე - 5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.  
ირინა მოდებაძე - 5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.  
ნინო არჩვაძე- 5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი.

#### დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტზე, ასისტენტ პროფესორის ოთხ ვაკანსიაზე და ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმები #1) და II (ოქმი #2) ეტაპების შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატები:

- ბიოლოგიის დეპარტამენტი  
კათედრა – ბიომრავალფეროვნება  
  
მარინე ბოკერია - ასისტენტ პროფესორი
- ბიოლოგიის დეპარტამენტი  
კათედრა – ბიოქიმია  
  
ქეთევან მენაბდე - ასისტენტ პროფესორი
- ბიოლოგიის დეპარტამენტი  
კათედრა – ბიოქიმია  
  
გიორგი ბურჯანაძე - ასისტენტ პროფესორი
- ბიოლოგიის დეპარტამენტი  
კათედრა – მორფოლოგია  
  
ირინა მოდებაძე– ასოცირებული პროფესორი
- ბიოლოგიის დეპარტამენტი  
პროგრამა - გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია  
  
ნინო არჩვაძე -ასისტენტ პროფესორი



2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

**კომისიის წევრების ხელმოწერა**

**თარიღი 17.08.2020**

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.

/დ.დიდიგური/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ.

/ა. გოგოჭორი/

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.

/მ. გორდეზიანი/

კომისიის წევრი, პროფ.

/ნ. კომორიძე/

კომისიის წევრი, პროფ.

/ნ. კოტრიკაძე/